პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 4 მარტი, 1942 წ. № 53 (6369). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა ქალები დიდ ძალას წარმოადგენენ

საბჭოთა ქალებს განსაკუთრებული ანგარიშები აქვთ პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებთან. გამხეცებული ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე იღუპებიან ბევრი ქალის შვილები, ქმრები, ძმები და მამები. ახლობელი ადამიანის დაკარგვა დიდ მწუხარებას იწვევს.

ჩვენი ქალი ძლიერი და ჭკვიანია. ჩვენი ქალი ამაყი და თავისუფლებისმოყვარეა. მას არა სურს იყოს და არც იქნება საზიზღარი ჰიტლერის მხევალი! მას არა სურს, რომ მისმა ...

... ბობის ისეთ ეკონომიას მიაღწიეს, რაც წინათ ქარხანაში არავის ახსოვს.

ქალები მუშაობენ ცხენგამრეკებად, ამწმენდებად, ხარატებად, ზეინკლებად, მეტალურგებად, ელექტრომონტიორებად, ელექტროშემდუღებლებად. აილეთ მუშაობის რომელი უბანიც გნებავთ... ათასობით ქალები, ქალიშვილები უკვე დაეუფლნენ „მამაკაცის პროფესიებს" და წარმოებასა და საკოლმეურნეო მინდორში მოვიდნენ, სადაც მუშაობაში არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს, ხოლო ბევრ შემ...

...

უნდა დავეხმაროთ ქალს, უნდა ვასწავლოთ მას. გულისყურით უნდა მოვეკიდოთ ქალთა წინადადებებს, უნდა ვითანხმიროთ მათთან. და მაშინ სამშობლო უდიდეს დახმარებას მიიღებს თავისი ერთგული ქალიშვილებისაგან.

...

ახლოვდება 8 მარტი—ქალთა საერთაშორისო დღე. საბჭოთა პატრიოტი ქალები ემზადებიან აღნიშნონ იგი ...

„პრავდის" მოწინავე, 3/III.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 მარტის დილის ცნობა

2 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

გასული კვირის მანძილზე—22-დან 28 თებერვლამდე—გერმანიის არმიამ 238 თვითმფრინავი დაჰკარგა. აქედან საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია 137 თვითმფრინავი, საზენიტო არტილერიის ცეცხლით—9, მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია 92 თვითმფრინავი. ამავე პერიოდის განმავლობაში ჩვენ 62 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე მოქმედი გვარდიის ერთ-ერთი ნაწილის მებრძოლებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა გადალახეს, წინ წაიწიეს და ხელთ იგდეს გერმანელთა 16 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, 5 ნაღმსატყორცნი, 100-მდე შაშხანა და ავტომატი, 43 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 10 მისაბმელი ყუმბარებიანად, 10.000 ვაზნა, 500-მდე ყუმბარა, 2 რადიოსადგური და 121 ცხენი. ფრონტის სხვა უბანზე მსროლელმა ნაწილმა, რომელსაც ამხ. ბობროვი მეთაურობს, ერთი დღის განმავლობაში 3 დასახლებული პუნქტიდან განდევნა გერმანელი ოკუპანტები. სოფელ ხ-სათვის ბრძოლაში ამ ნაწილის მეომრებმა მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ...

... ხედრო ეშელონი, გაანადგურეს გერმანელთა 3 შტაბი, მოსპეს 71 სატვირთო ავტომანქანა საომარი მასალიანად, რამდენიმე ტანკი და დასწვეს გერმანელთა თვითმფრინავი. ამხ. გ-ს რაზმის პარტიზანები ქალაქ ო-ში შეიჭრნენ და თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს. მათ თითქმის ყველა პოლიციელი და გესტაპოს აგენტი დახოცეს.

* * *

ქვემოთ მოგვყავს მოკლე ამონაწერები გერმანელთა 79-ე ქვეითი დივიზიის 226-ე პოლკის 1-ლი ასეულის მოკლულ გერმანელ ეფრეიტორ დეპაოლის დღიურიდან:

„24 აგვისტო. მივდივართ აღმოსავლეთში. როგორ მინდა ვიცოდე, რა მოგველის!

26 აგვისტო. პერემიშლი. მოსახლეობას ვძულვართ, მაგრამ არ ამჟღავნებს. ეს ადგილები არასოდეს არ გახდება გერმანული.

31 აგვისტო. საძაგლობაა—ჩვენს მატარებელში ვიღაცამ გრანატი შემოისროლა.

1 სექტემბერი. საბრძოლველად მივდივართ. ვხვდებით მცხოვრებთა ჯგუფებს, რომელთაც ვხვრეტთ.

10 სექტემბერი. 9 საათზე ბრძანება მოვიდა: თავი მოიმარაგეთ. დიასახლისის სამწუხაროდ, მისი ერთად-ერთი ღორი დავკალით.

16 სექტემბერი. უკვე ერთი კვირაა ტანთ არ გამიხდია. მაცილებს.

21 სექტემბერი. 8 საათსა და 45 წუთზე ჩვენი ბატალიონი შეტევაზე გადადის. გასაგიჟებელი ამბავია. რუსების არტილერია გააფთრებით გვიშენს. რუსებმა ყველა ჩვენი იერიში მოიგერიეს. ბატალიონს დიდი დანაკლისი ...

...

3 მარტის საღამოს ცნობა

...

ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა 2 დღის ბრძოლების დროს გაანადგურეს გერმანელთა 10 მიწური საცეცხლე წერტი, 14 ბლინდაჟი და მიწური სადგომი და ხელთ იგდეს ბევრი დავლა. ბრძოლის ველზე მტერმა 2.000 მოკლული დატოვა.

* * *

ამ უკანასკნელი დღეების ბრძოლების დროს კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა დაანგრიეს მტრის 96 მიწური საცეცხლე წერტი, ხელთ იგდეს 124 ავტომანქანა, 15 ნაღმსატყორცნი, 42 ავტომატი, 4 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, 3.800 გრანატი, 1.657 ათასი შაშხანის ვაზნა, 4 რადიოსადგური. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 4 ნივთსაწყობი და სასურსათო საწყობი და 2 საწყობი საომარი მასალიანად. გერმანელებმა 1.400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

* * *

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა 2 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან და ხელთ იგდეს გერმანელთა 4 ტანკი, 18 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 10 დაზგიანი და ხელის ტყვიამფრქვევი, 35.000 შაშხანის ვაზნა. 73 ავტომანქანა და გაჟლიტეს მტრის 850 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა ერთი დღის ბრძოლის დროს ხელთ იგდეს მტრის 200 საზიდარი და მარხილი სამხედრო ტვირთიანად, 56 ცხენი და სხვა სამხედრო ქონება. გერმანელებმა ბრძოლის ველზე 200 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვეს.

* * *

გერმანიის 56-ე ქვეითი დივიზიის 192-ე პოლკის შტაბის ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ვილჰელმ ვალტერმა განაცხადა: „გერმანიის ...

...

ტანკისტები ბრძოლაში

კალინინის ფრონტი, 2 მარტი. (საკუთრის სპეც. კორესპონდენტისაგან) კომკავშირელ ლისოვეცის ტანკის ეკიპაჟს საბრძოლო დავალება ჰქონდა მიცემული შეჭრილიყო მოწინააღმდეგის მიერ ძლიერ გამაგრებულ სოფელ ნ-ში, მოესპო მტრის გარნიზონი და დაეკავებინა ეს სოფელი.

ტანკის ეკიპაჟი, ერთსულოვანი, ბრძოლებში მტკიცედ შეკავშირებული, აღფრთოვანებით შეხვდა ამ დავალებას. სწორედ დანიშნულ ვადაზე ტანკი სრული სიჩქარით შეიჭრა სოფელში, თავისი მუხლუხებით სრესდა ჰიტლერელებს და ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით სპობდა მათ.

ბრძოლის შედეგი: სოფლის ქუჩაში ეყარა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 210 გვამი, 2 დამტვრეული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი, 3 ტანკსაწინააღმდეგო თოფი. გარდა ამისა, მამაცმა ტანკისტებმა გაჰფანტეს და ნაწილობრივ ხელში ჩაიგდეს მტრის ალალი, რომელიც 80 საზიდრისაგან შესდგებოდა.

ფაშისტთა გარნიზონის ნაშთები, როცა ესონდენ მოულოდნელი და უეცარი განადგურების შემდეგ გონს მოვიდნენ, მთელი ძალებით გამოვიდნენ ტანკთან საბრძოლველად, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების გრიგალისებრი ცეცხლი დაუშინეს მას. მანქანა დაზიანდა, მას ცეცხლი გაუჩნდა, თვითონ ტანკის მეთაური ლისოვეცი კი დაიჭრა. მან უკიდურესობამდე დაძაბა თავისი ძალა და ნებისყოფა, და მტრის გრიგალისებრი ცეცხლის მიუხედავად, ჩააქრო ხანძარი და ტანკი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა.

მტრის გარნიზონის ნაშთები დემორალიზებული და ყველაზე ... დან განდევნილა ... ჩვენი ქვეითები იერიშზე გადავიდნენ. მტერმა უკვე ვერ შესძლო ... კვეთით სცადა წინააღმდეგობა გაეწია. ქვეითებმა სოფელი დაიკავეს. კომკავშირელ ლისოვეცის ეკიპაჟმა საბრძოლო დავალება ღირსეულად შეასრულა! სხვა ტანკის ეკიპაჟმა, რომელიც იმავე ქვეგანაყოფში შედის, სადაც ამხ. ლისოვეცის ეკიპაჟია, ლეიტენანტ კოვალენკოს მეთაურობით ერთ-ერთი სოფლისათვის ბრძოლაში ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით დახოცა 110-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და გასრისა სამხედრო ტვირთით დატვირთული 12 საზიდარი.

დღითი-დღე იზრდება საბჭოთა მეომრების საბრძოლო შეტევითი აღტყინება. ისინი სულ უფრო-დაუფრო მაგრად ურტყამენ მტერს, სპობენ მის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. მარტო ნ-ს ნაწილმა 5 დღის განმავლობაში დახოცა 1.426 ჰიტლერელი, მოსპო 94 მიწური საცეცხლე წერტი და ხელთ იგდო დავლა: 124 ავტომანქანა, 21 ველოსიპედი, 15 ნაღმსატყორცნი, 42 ავტომატი, 4 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, 330 შაშხანა, 181 ყუთი ნაღმი, 3.500 ხელის გრანატი, 300 წყვილი თხილამური და დიდძალი სამხედრო ქონება. მოსპო ნივთებისა და სურსათის 4 საწყობი და საომარი მასალის 2 საწყობი.

ე. კორიავიჩევი.

იმ ადგილებში, სადაც ამას წინათ ბრძოლა სწარმოებდა

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი, 2 მარტი (საკუთრის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენ იმ ადგილებში მივდივართ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ბრძოლები სწარმოებდა,—ილმენისპირა თოვლიანი ტყეებითა და ჭაობებით, გადამწვარი სოფლების, დანგრეული ხიდების გვერდით. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ აქ გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა.

გერმანელთა განადგურების კვალი პირდაპირ ყოველ ნაბიჯზე სჩანს. ჩვენი მებრძოლები თანდათან ავიწროებდნენ რკალს მტრის გარშემო და მეთოდურად მიერეკებოდნენ მას სოფლებიდან მანამ, სანამ ისინი გამოუვალ ხაფანგში არ მოამწყვდიეს და არ მოსპეს. ერთი სოფლის სამ ფარდულში შტაბელებად ...

... ნი იყვნენ, არ ყოფნიდათ სურსათი, არ ყოფნიდათ საომარი მასალა. მცხოვრებლები ხედავდნენ, თუ როგორ დააყარეს გრანატები გერმანელ ჯარისკაცებს ფინელებმა, რომლებსაც ამ მძიმე მდგომარეობაში გერმანელებზე კიდევ უფრო უარესად ჰქვებავდნენ. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი.

ამჟამად ილმენის ტბის მახლობლად მდებარე სოფლებში საბჭოური ცხოვრების აღდგენა სწარმოებს. პოლავის რაიონში უკვე მუშაობენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ალექსეევმა და საკ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანმა ამხ. ივანოვმა, რომლებიც ეს-ეს არის პარტიზანული რაზმიდან დაბრუნდნენ ...

...

ჩვენი შეტევა მტერზე დღითი-დღე იზრდება

...

„ასე იბრძვიან მეზღვაურები"

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზ. „კრასნი ფლოტის" 28 თებერვლის ნომერში მოთავსებულია უფროს ლეიტენანტ სუხიშვილის სტატია: „ასე იბრძვიან მეზღვაურები".

„ბრძოლები ტაგანროგისა და როსტოვის მისადგომებზე განსაკუთრებით გააფთრებული იყო. რაზმის ხომალდების მასირებულად ურტყამდა მტრის ავიაცია, ძლიერი იყო არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლი. მიუხედავად ამისა, რაზმი ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა.

...

ვ. ყარა-მურზა

გამაგრებული ზღუდეების მშენებელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამაგრებული ზღუდეების მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — ...

...

შრომის წითელი დროშის ორდენით — 76 კაცი ...

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 63 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით—196 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 7 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 248 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" — 19 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 298 კაცი. (საქინფ).

სკოლების აღდგენა განთავისუფლებულ რაიონებში

მოსკოვის ოლქის რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებისაგან, 500-ზე მეტი სკოლა გაიხსნა. ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს დანგრეული შენობების რემონტისა, კლასების მოწყობისა და სათბობის დამზადების საქმეს.

ფილტოვოში, სოლდოვოში, გორბუნოვოსა და სხვა სოფლებში კოლმეურნეებმა სკოლებში მიიტანეს თავისი მაგიდები, სკამები, თავის სახლებში გამოიღეს საზამთრო ჩარჩოები, რათა უფრო მალე დაეთბოთ სკოლები ...

მოსკოვის ოლქის სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თათბირი

25-26 თებერვალს მიმდინარეობდა მოსკოვის ოლქის სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თათბირი ...

ტაჯიკეთის მშრომელთა დელეგაცია

2 მარტს მოსკოვში ჩავიდა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია ... ტაჯიკეთის მშრომელებმა მებრძოლებს გაუგზავნეს 48 ტონა ხმელი ხილი, 7.650 ქილა ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვი, 9.800 ქილა ყურძნის, ვაშლისა და ჭერამის მურაბა, 15 ტონა ჭერამის ფაფა და სხვ.

3 მარტს დელეგაცია დასავლეთის ფრონტის ნაწილებში მიემგზავრება. (საქინფ).

ტრაქტორების რემონტის გეგმა შეასრულეს

გურჯაანი (ტელეგრაფით). კაჭრეთის მტსმა დაწესებულ ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულა ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა.

თელეთის (თბილისის რაიონი) მტსმა შინარსებულის ... გეგმა.

საფარში

მოქმედი არმია, 28 თებერვალი (საკდეს სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა მეომრების ოცეული პოლიტხელ ვასილ პოდუბნის მეთაურობით ფაშისტებს ზურგში მოექცა და გზასთან ჩასაფრდა. მალე წითელარმიელებმა შეამჩნიეს, რომ მათ უახლოვდებოდა გერმანელთა დიდი ჯგუფი, რომელიც 200-მდე კაცისაგან შესდგებოდა.

პოლიტხელმა პოდუბნიმ მეომრებს უბრძანა, ბრძოლისათვის გაემზადეთო. მარჯვენა ფლანგზე და ცენტრში მეტყვიამფრქვევენი განლაგდნენ, როცა გერმანელები საფარს გამოუსწორდნენ, ჩვენმა მებრძოლებმა მძლავრი ცეცხლი დაუშინეს. ფაშისტებში წარმოუდგენელი პანიკა დაიწყო. მტრის შეშფოთებით ისარგებლეს ჩვენმა მებრძოლებმა, ხიშტით ბრძოლაში გადაეშვნენ და გერმანელები გააქციეს. ბრძოლის ველზე დარჩა 36 მოკლული ფაშისტი, გერმანელთა 3 ნაღმსატყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და 9 ავტომატი.

ზ. კრილოვი

მზვერავები

ფრონტის ყირიმის უბანი („კომუნისტის" კორ.). პოლიტხელები დუგანოვი და პერელმანი მოგვითხრობენ მზვერავი მეგობრების—ნიკოლოზ ლიუტოვის, რუხო ვიდეშვილის და ივანე ლოგუნოვის ბრწყინვალე საქმეების შესახებ.

ღამეა. ყინავს. თოვლი თეთრად დაფრქვევია ყირიმის შეყინულ მიწას.

— თითო-თითოდ გამოდით!—ჩურჩულით უბრძანა თავისი მზვერავი ჯგუფის მებრძოლებს უმცროსმა ლეიტენანტმა ეგონინმა.

მოხერხებულად შენიღბული მზვერავებიც ფრთხილად გამოხოხდნენ თოვლში.

ფაშისტები, გაძლიერებული გუშაგების დაცვის ქვეშ, ბუნაგში ჩამძვრალი მხეცებივით განაბულან. ჩვენი ქვემეხები განუწყვეტლივ ჰქუხან. არტილერისტები ფაშისტ ბანდიტებს არ აძლევენ მოსვენებას არც დღით, არც ღამით, ჭოტის ბუდეებიდან სთხრიან მათ ძირფესვიანად.

მზვერავები ფარულად მიიწევენ წინ. უკვე საგრძნობი მანძილი განვლეს. სულ ახლოს ორი ფიგურა გამოჩნდა. გაწვნენ. ეგონინმა ფლანგებზე გაგზავნა მეთვალთვალე მოწინავე მცველები და თვალთვალი დააწყარა. ფიგურები გაქრნენ. თუმცა ბევრი ეძებეს—ვერაფერი ვერ იპოვნეს. იქვე სადღაც იმყოფება მტერი. ოდნავი ხმაური, ზედმეტი მოძრაობა და მზვერავები ჩაცვივდებიან გარემოცვაში და ვერ შეასრულებენ საპასუხისმგებლო საბრძოლო ამოცანას—რადაც არ უნდა დაუჯდეთ „ენა" იშოვნონ.

მზვერავები მონადირის ჩუმი ნაბიჯით მიდიან. ირგვლივ ველია, ყირიმის ვრცელი ველი. ისინი ეძებენ უსწორმასწორო მიდამოებს და მიდიან იმ გზით, სადაც ნამქერს უფრო მეტად დაუზვავებია თოვლი.

წინ ბლინდაჟი შენიშნეს. იქ ფაშისტები უნდა იყვნენ. ლიუტოვს არ შეუძლია ახსნას, მაგრამ ბევრი უმნიშვნელო დეტალის გამო მისთვის ცხადია, რომ ბლინდაჟი დასახლებულია.

მზვერავთა ჯგუფი ბლინდაჟს ზედ მიადგა და ალყა შემოარტყა. ლიუტოვმა ბლინდაჟში ჩასძახა:

— გამოძვერ, დაგვნებდი!

ბლინდაჟში ახმაურდნენ. გაისმა რუმინული ლაპარაკი. ბანდიტები არა ჩქარობდნენ. ლიუტოვმა კიდევ ერთხელ გაუმეორა თავისი სიტყვები.

რუმინელები გამოდიოდნენ ბლინდაჟიდან. პირველი მოდიოდა კაპრალი მომარჯვებული შაშხანით. ლიუტოვმა შემოუტრიალა თავისი ავტომატი და კაპრალს ხელიდან გააგდებინა შაშხანა. მან ხელები მაღლა ასწია ასევე მოიქცა ორი ჯარისკაციც. ჩამოართვეს დოკუმენტები. დაათვალიერეს ბლინდაჟი.

ტყვეები ზურგში წამოიყვანეს.

უმცროსი ლეიტენანტი ეგონინი, მზვერავები ლიუტოვი, ვიდეშვილი და ლოგუნოვი გაბედულად და მტკიცედ მოქმედებდნენ. ყირიმისათვის ბრძოლების პირველი დღეებიდანვე მათ გაიჩინეს სამშობლოსათვის თავდადებული შვილების სახე.

ს. ქურაშვილი

„ფიცი სამშობლოს წინაშე"

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა" 26 თებერვლის ნომერში ათავსებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის კლებანოვის წერილს სევასტოპოლიდან სათაურით—„ფიცი სამშობლოს წინაშე".

„კატერმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი პოპოვი მეთაურობს, წარმატებით შეასრულა საბრძოლო ოპერაცია. უკან დაბრუნებისას, იგი ძლიერ ღელვაში მოხვდა. კატერის მთელი ეკიპაჟი გმირულად ებრძოდა სტიქიას, საწვავი ილეოდა, მოტორები გაჩერდა. ზღვის ტალღები კატერს მტრის ბუნაგისაკენ მიაქანებდნენ.

მთელი ეკიპაჟი გემბანზე შეიკრიბა. შესდგა კომკავშირელთა ღია კრება. კომკავშირის ორგანიზატორმა ივახნომ აცნობა ამხანაგებს კატერის დრეიფის შესახებ სამშობლოს მტრების მიერ დაკავებული ნაპირისაკენ. სიტყვით გამოვიდა კატერის მეთაური უფროსი ლეიტენანტი პოპოვი.

— მტერს იაფად არ დავუსვამთ ჩვენს სიცოცხლეს,—სთქვა მან,—მოვუწოდებ კომკავშირელებს, წითელფლოტელებს ვაჟკაცურად მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

პარტორგანიზაციის მდივანმა ამხანაგმა მიქაბერიძემ სთქვა:

— ჩვენ მძიმე მდგომარეობაში მოვხვდით. ახლა თვითეულმა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს ბოლშევიკური სიმტკიცე. არავითარი პანიკა, სიმხდალე. იმედი მაქვს, რომ თითოეული ჩვენგანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დარჩება პატრიოტად.

კომკავშირელთა კრებამ დაადგინა, რომ თუ კატერი მტრის მიერ დაკავებულ ნაპირებს მიადგება დღისით, იბრძოლონ უკანასკნელ ტყვიამდე და თუ ღამით მივლენ ნაპირზე, მოხსნან კატერზე მთელი იარაღი, გადავიდნენ ნაპირზე, ააფეთქონ კატერი, ხოლო თვითონ მოქმედება დაიწყონ როგორც პარტიზანულმა რაზმმა.

როცა ნაპირი უკვე გამოჩნდა მოდრეიფე კატერს მაშველმა ძალებმა მიუსწრეს.

გმირული ეკიპაჟი თავის ბაზაში დაბრუნდა".

ვ. ყარა-მურზა

სულ უფრო და უფრო მძლავრად ვურტყამთ მტერს

კალინინის ფრონტი, 28 თებერვალი (საკდეს სპეც. კორესპონდენტისაგან). № ნაწილმა გაანადგურა გერმანელთა ქვეითი პოლკი, მესანგრეთა ბატალიონი და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების დივიზიონი და ერთი დღის განმავლობაში 6 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა ფაშისტი ოკუპანტებისაგან. წითელი მეომრების დარტყმების გამო უკუქცეული გერმანელები საჭურველსა და სამხარ ქონებას სტოვებენ. მარტო სოფელ ნ-სათვის ბრძოლაში გაჟლეტილ იქნა 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ ვიგდეთ დავლა: 4 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი, 200 შაშხანა, 30 ათასი ვაზნა.

ნაღმსატყორცნთა ჯგუფი სერჟანტ ბოგატოვის მეთაურობით გზატკეცილზე ჩასაფრდა და ძლიერი ცეცხლი დაუშინა გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონასა და აღალს. გზატკეცილზე დარჩა ერთ ასეულამდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მზვერავთა ჯგუფი ათეულის მეთაურ ზუევის წინამძღოლობით გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელში შეიჭრა. გერმანელებმა ჩვენი მზვერავები შეამჩნიეს და გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს. მზვერავები ბრძოლაში გაებნენ და 4 საათის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გაფთრებულ იერიშებს. მამაც მებრძოლებს მიეშველა ერთ-ერთი ჩვენი ქვეგანაყოფი, რომელმაც სწრაფი იერიშით გარეკა ფაშისტები სოფლიდან.

ე. კორიავიჩევი

მოხუცმა კოლმეურნე სავჩენკომ 7 ფაშისტი შეიპყრო

ფრონტისპირა რაიონი, 27 თებერვალი (საკდესი). ბნელი ღამე იყო, როცა დაბა კ-ში, 70 წლის მოხუცი კოლმეურნე ალექსანდრე პეტრეს-ძე სავჩენკოს სახლში, კარი დააკაკუნეს. მოხუცმა კარი გაალო. ქოხში 7 გერმანელი ფაშისტი ბანდიტი შევარდა, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა მებრძოლების მხრივ დევნისათვის დაეღწიათ თავი და დამალულიყვნენ. გერმანელები იარაღით დაემუქრნენ და მოითხოვეს საჭმელი, შემდეგ კი დასაძინებლად დაწვნენ.

როცა გერმანელებმა დაიძინეს, სავჩენკომ იწყო ქოხიდან მათი იარაღის ჩუმად გატანა. უკვე ყველა შაშხანა გატანილია. უკვე ყველაფერი დამალულია. და მაშინ საბჭოთა პატრიოტი გრანატს იღებს, ზღურბლთან დგება და შესძახებს: „აბა, არამზადებო, ადექით, დამნებდით, თორემ ახლავე გრანატს გესვრით. ცოცხლებს არ გაგიშვებთ!" გერმანელებმა დააპირეს იმ ადგილს მივარდნოდნენ, სადაც იარაღი ეწყო, მაგრამ იარაღი იქ არ აღმოჩნდა.

ალექსანდრე პეტრეს-ძემ მის მიერ დატყვევებული გერმანელები გადასცა წითელი არმიის მებრძოლებს, რომლებმაც ამ დროს მოუსწრეს.

„შავი ზღვის ქვეითნი ბრძოლებში"

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ სათაურით „წითელი ფლოტი" 27 თებერვლის ნომერში ბეჭდავს პოლკოვნიკ ჟიდილოვის სტატიას სევასტოპოლიდან. სტატიაში მოთხრობილია ქვეით მეზღვაურთა სახელოვანი საგმირო საქმეები.

სამშობლოსათვის უდიდეს განსაცდელის დღეებში შავი ზღვის ფლოტმა, რომელიც გმირულად იბრძოდა ზღვაში, პირადი შემადგენლობის ნაწილი გამოჰყო მტრის წინააღმდეგ ხმელეთზე საბრძოლველად. მეზღვაურთა ქვეითმა ჯარმა ფლოტის ნაწილებში, გემებზე კარგი სკოლა გაიარა, სარდლობა მეზღვაურებს ფრონტის ყველაზე უფრო პასუხსაგებ უბნებზე გზავნიდა. მეზღვაურები ყოველთვის სახელოვნად ასრულებდნენ დაკისრებულ ამოცანებს.

სევასტოპოლთან გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში მეთაურები და წითელფლოტელები მამაცობის განუმეორებელ მაგალითებს გვიჩვენებდნენ. ერთ ბრძოლაში წითელფლოტელი ფრანცუზოვი ექვსჯერ გადავიდა იერიშზე და ათეული ფაშისტი გაანადგურა. წითელფლოტელი გვოზდილკო თავის ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით ანადგურებდა გერმანელ ჯარისკაცებს.

მეტყვიამფრქვეველთა ოცეულის მეთაურმა უფროსმა სერჟანტმა ადამიამ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა ოთხი დაჭრილი, შესცვალა მწყობრიდან გამოსული მეტყვიამფრქვეველი და მოსპო 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი. გმირობისა და ვაჟკაცობის მსგავსი მაგალითები უთვალავია. მეთაურები პოდჩაწინსკი, ბეგეშიძე, პეჩენევი და მრავალი სხვები ოსტატურად ხელმძღვანელობდნენ ოპერაციებს, არ ზოგავდნენ საკუთარ სიცოცხლეს და მამაცურად მიჰყავდათ მებრძოლები იერიშზე.

ვ. ყარა-მურზა

გერმანელები საბჭოთა სამხედრო ტყვეებს აწამებენ

ვაშინგტონი, 1 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ნორვეგიის დიპლომატიურმა მისიამ განაცხადა, რომ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსულმა ნორვეგიელმა გადმოგვცა, რომელიც ნორვეგიიდან გამოიქცა, ტრომსეს მახლობლად იმყოფება საბჭოთა სამხედრო ტყვეების ჯგუფი. ეს სამხედრო ტყვეები გერმანელებმა თაელებში მოათავსეს. მათ თბილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი ჩამოართვეს. ეს ნორვეგიელი ამბობს, რომ სამხედრო ტყვეები იმდენად მოიქანცნენ, რომ 12 დღის შემდეგ მათ კაცი ვერ იცნობდა. სამხედრო ტყვეების „სადილი" შესდგება სუპისაგან, რომელიც თვით გერმანელთა სიტყვითაც კი „მლაშე წყალს" წარმოადგენს. სამხედრო ტყვეები იძულებული არიან თხრილები ამოთხარონ და შეშა სჭრან. ისინი ძლიერ იტანჯებიან სიცივისაგან. ხშირია დაზრობის შემთხვევა, ბევრმა ტყვემ შიმშილს, სიცივესა და აუტანელ შრომას ვერ გაუძლო და მოკვდა. ერთ დღეს, როდესაც ტემპერატურა ნოლს ქვემოთ 35 გრადუსს უჩვენებდა, ზოგიერთი ტყვე 6 საათს ყინვაში იდგა და სამუშაოზე გაგზავნას ელოდა, ბევრი გაიყინა, რამდენიმე კაცმა გრძნობა დაჰკარგა. სამუშაოდან დაბრუნებისას ზოგიერთი ტყვე თავის ამხანაგებს ეხმარებოდა, რომლებსაც სიარული არ შეეძლოთ. გერმანიის მცველი რაზმები უკან ჩამორჩენილებს სცემდნენ. ზოგიერთებს კი ხიშტებით ჩხვლეტდნენ.

ჩერჩილის მიმართვა ნავსადგურების მუშებისადმი

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სანავსადგურო და სატრანსპორტო მეურნეობის მეწარმეთა და მუშათა კონფერენციაზე, რომელიც 23 თებერვალს შესდგა ლონდონში, წაკითხულ იქნა ჩერჩილის მიმართვა. ეს მიმართვა ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რარიგ მნიშვნელოვანია გემების მოძრაობის უფრო მეტად დაჩქარება ნავსადგურებში. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ ბევრ ახალ გემს ვაშენებთ. მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი შეგვიძლია, ჩვენი რესურსების გასადიდებლად და ნაოსნობის გასაფართოებლად. ნავსადგურში გემების დგომის თითოეული დაზოგილი დღე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი სავაჭრო ფლოტის ტვირთბრუნვის გადიდებას".

ანტიგერმანული ფურცლების გავრცელება საფრანგეთში

სტოკჰოლმი, 2 მარტი (საკდესი). გერმანული გაზეთი „ბრიუსელერ ცაიტუნგი" განგაშს სტეხს იმის გამო, რომ საფრანგეთსა და ბელგიაში ფართოდ ვრცელდება ანტიგერმანული ფურცლები. გაზეთი იუწყება, რომ მონპელიეში დააპატიმრეს 4 „ბოროტგანმზრახველი აგიტატორი", რომლებსაც უპოვნეს გერმანიის ხელისუფალთა წინააღმდეგ მიმართული დიდძალი ფურცელი. იგივე გაზეთი იუწყება, რომ პარიზში გერმანიის ხელისუფალთა მიმართ მტრული აგიტაციისა და გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე თავდასხმის მოწყობისათვის დახვრიტეს ბელგიელი რიშარ სიპარი.

გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი" გადმოგვცემს, რომ ქალაქ ნიცაში ამას წინათ აღმოჩენილ იქნა დე გოლის მომხრეთა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც ფურცლებს ავრცელებდა და ახალგაზრდობას აგროვებდა თავისი სამხედრო რაზმისათვის. ამ ორგანიზაციის 20 წევრი, მათ შორის ორი ქალი, მარსელის სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

რიომის პროცესი

ნიუ-იორკი, 1 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიომიდან იუწყება, რომ რიომის სასამართლოს 27 თებერვლის სხდომაზე დალადიემ, როდესაც იგი თავის პოზიციას იცავდა ომის წარმოების საკითხებში, განაცხადა: მე ვამაყობ იმით, რომ დე გოლი გენერლად დავნიშნეო. მან გააკრიტიკა საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის პოლიტიკა და ტაქტიკა. დალადიემ სთქვა, რომ საფრანგეთს მოეპოვებოდა 3.600 ტანკი და 500 ჯავშანი. მან განაცხადა: დე გოლი არა ერთხელ მოითხოვდა, რათა უმაღლეს სარდლობას გადაესინჯა თავისი ტაქტიკა, მაგრამ მის მოთხოვნას ყურს არავინ უგდებდა. სამხედრო ხელმძღვანელებს არ ესმოდათ სატანკო შეიარაღების ეფექტიანობა. მათ ტანკები მცირე ჯგუფებად დაჰყვეს, რომლებსაც არ შეეძლოთ ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა გერმანელებისათვის.

აქ სასამართლომ დალადიეს სიტყვა შეაწყვეტინა და განუცხადა, რომ იგი ისეთ საკითხებს ეხება, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სასამართლოს გამოძიებასთან.

შემდეგ დალადიემ ბრალი დასდო პეტენს იმაში, რომ მან შეამცირა საფრანგეთის არმიისათვის გაღებული ახალი ასიგნობანი იმ ანგარიშით, რათა გაედიდებინა ხარჯები „მაჟინოს ხაზისათვის". პეტენის ამ მოქმედების მიუხედავად,—აცხადებს დალადიე, — ამჟამად ბრალდებულთა სკამზე აქ მე ვზივარო. დალადიემ სთქვა, რომ 1934 წელს საფრანგეთის მთავრობამ თავდაპირველად 600 მილიონი ფრანკი გაიღო თავდაცვის გაძლიერებლად, მაგრამ პეტენმა ეს თანხა 400 მილიონ ფრანკამდე შეამცირაო.

ნიუ-იორკი, 1 მარტი (საკდესი). ამჟამად ვაშინგტონში მყოფი საფრანგეთის ავიაციის ყოფილი მინისტრი პიერ კოტი (რიომის პროცესის მეექვსე ბრალდებული, რომელსაც დაუსწრებლად ასამართლებენ), თავის სტატიებში სწერდა: დალადიეს მთავრობისათვის წარდგენილ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდი, რომ საფრანგეთს 1939 წელს აკლდა ავიაცია „გენერალური შტაბის არასწორი სამხედრო კონცეფციის" გამო. იგი აღნიშნავდა: 1936 წელს ორჯერ წარვადგინე საფრანგეთის საჰაერო ძალების გაორკეცების გეგმები, მაგრამ გენერალურმა შტაბმა ჩემი წინადადებანი ერთხმად უარყოო.

კოტმა განაცხადა: რიომის ახლანდელი პროცესი უკანონოა და მე, მსურს საფრანგეთში დავბრუნდე, რათა „თავისუფალი სახალხო მთავრობის დროს" წარვდგე სასამართლოს წინაშეო.

ჟენევა, 1 მარტი (საკდესი). გუშინ შესდგა რიომის სასამართლოს მეხუთე სხდომა. დალადიე უარჰყოფდა მოწმის, გენერალ ჟორჟის ჩვენებაში წამოყენებულ ბრალდებებს, რომ საშუალო სიმაღლეზე მოქმედი საზენიტო არტილერია კარგი არ იყო, ხოლო მცირე სიმაღლეზე მოქმედი არტილერია სულაც არ არსებობდაო. დალადიემ განაცხადა: დიდ ხანს არაფერი არ გაკეთებულა საფრანგეთის საჰაერო დაცვის განსამტკიცებლად, რადგან ჩემი აზრის წინააღმდეგ, სამხედრო წრეები ჰფიქრობდნენ, თვითმფრინავებთან მხოლოდ თვითმფრინავებს შეუძლიათ ბრძოლაო. 1938 წელს დალადიემ წინადადება წამოაყენა დაემზადებინათ მცირე სიმაღლეზე მოქმედი საზენიტო ქვემეხები და შეექმნათ 25-მილიმეტრიანი ზარბაზნები. გერმანიის შემოტევის მომენტში საფრანგეთს მცირე ყალიბის 3.700 საზენიტო ქვემეხი ჰქონდა. გადადებული იყო მხოლოდ 900-მილიმეტრიანი საზენიტო ზარბაზნების წარმოება. დალადიემ განაცხადა, რომ საფრანგეთის დამარცხების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო თავდაცვის ხაზებზე ძალების ცუდი განლაგება. მან გაკვირვება გამოსთქვა იმ ფაქტის გამო, რომ მაჟინოს ხაზს იქით 20 დივიზია იყო თავმოყრილი.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მეხუთე სხდომაზე, ისევე როგორც წინანდელზე, სასამართლოს თავმჯდომარე ყოველნაირად უშლიდა ხელს ბრალდებულთ ფაქტებისა და ციფრების დეტალური ანალიზის გზით დაემტკიცებინათ საფრანგეთის სამხედრო წრეების პასუხისმგებლობა მისი დამარცხებისათვის. სასამართლოს თავმჯდომარე განსაკუთრებით მძვინვარებს მაშინ, როცა ბრალდებულნი ცდილობენ ცხადჰყონ პეტენის პირადი პასუხისმგებლობა საფრანგეთის არასაკმაო სამხედრო მომზადებულობისათვის. მიუხედავად ამისა, ბრალდებულთა ჩვენებით გამოაშკარავდა და საჯაროდ ცნობილი გახდა მთელი რიგი ფაქტები, რომელნიც პეტენის დანაშაულობას ახასიათებენ. ამან ვიშის მმართველ წრეებში შეშფოთება გამოიწვია. ოფიციალურმა სააგენტომ ჰავას-ოფიმ ეს შეშფოთება გაამჟღავნა, როცა სასწრაფოდ გაავრცელა ცნობა, რომლითაც ცდილობს გაათეთროს პეტენი და რიომის პროცესით ბრალდებულებს დააკისროს მისი დანაშაული.

ვიშის უცხოელ კორესპონდენტებს აკრძალული აქვთ თავიანთ კორესპონდენციებში რიომის პროცესის შესახებ მოიხსენიონ პეტენის სახელი.

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ დალადიემ რიომის პროცესზე თავისი უკანასკნელი ჩვენებით გამოარკვია პეტენის სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთი საზღვარი დაუცველი აღმოჩნდა. დალადიეს მიერ საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო საბჭოში განსახილველად შეტანილი წინადადება იმის შესახებ, რომ გამაგრებული ყოფილიყო ჩრდილოეთის საზღვარი ლონგვიდან, სადაც მაჟინოს ხაზი მთავრდებოდა, ზღვამდე, უარყოფილ იქნა პეტენის მტკიცე მოთხოვნით. 1934 წელს პეტენი განსაკუთრებული მემორანდუმით უარჰყოფდა სედანის თავდაცვის საჭიროებას იმ სასაცილო „არგუმენტით", რომ მოწინააღმდეგის არმია, ვითომდა ვერ შესძლებდა გადაელახა ფართო ტყის დაბრკოლება, რომელიც „ბუნებრივ თავდაცვას" წარმოადგენსო.

რიომის პროცესის გარშემო

ჟენევა, 2 მარტი (საკდესი). გერმანიის მმართველ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დალადიესა და ბლიუმის, აგრეთვე მათი დამცველების გამოსვლებმა რიომის პროცესზე, რადგან, სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგობისა და მუქარის მიუხედავად, მათ გამოააშკარავეს, რომ საფრანგეთის სამხედრო დამარცხებაში ბრალი მიუძღვის საფრანგეთის ბევრ იმ სამხედრო მოღვაწეს, რომლებიც ამჟამად მჭიდროდ არიან დაკავშირებული გერმანიასთან. გერმანიის მმართველ წრეებში განსაკუთრებული გაბოროტება გამოიწვია დალადიეს უკანასკნელმა გამოსვლებმა პროცესზე, რომლებმაც ცხადჰყო, რომ პეტენის მოღვაწეობა ხელს უწყობდა საფრანგეთის სამხედრო დამარცხებას. გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გაავრცელა ცნობა, რომელშიც გაბოროტებით ესხმიან თავს დალადიეს. გერმანიის საინფორმაციო ბიურო, რაკი დალადიეს მიერ მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს ვერ უარჰყოფს, მუქარას მიმართავს და აცხადებს: „რიომის სასამართლომ არ უნდა დაუშვას, რომ დალადიემ საფრანგეთის ყოფილ გენერალურ შტაბს დააკისროს პასუხისმგებლობა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც მას მიაწერენო".

ადმირალ კიმელს და გენერალ შორტს სამხედრო სამართალში აძლევენ

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ვაშინგტონში გამოცხადდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის ყოფილი სარდალი ადმირალი კიმელი და ამერიკის შეერთებული შტატების ჰავაის კუნძულების შეიარაღებულ ძალთა ყოფილი სარდალი გენერალი შორტი სამხედრო სამართალში აქნებიან მიცემულნი.

ბრძოლა იავისათვის

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა იავისათვის. იაპონელებმა შესძლეს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ გადაეყვანათ ქარავანი, რომელიც დაახლოებით 50 ტრანსპორტისაგან შესდგება. დღემდე მიღებული ცნობების თანახმად, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩაიძირა ან ცეცხლი გაუჩნდა იაპონიის 15 ტრანსპორტს, სერიოზულად დაზიანდა კიდევ 6 ტრანსპორტი, მოსპობილია აგრეთვე იაპონელთა ბევრი სადესანტო ნავი.

თავისი დესანტების გადმოსასხმელად იაპონელებმა პატარა მდინარეების ქსელით დასერილი და ერთმანეთთან სანაპირო გზებით დაკავშირებული პუნქტები აირჩიეს. ზოგიერთ სექტორში იაპონელებმა შესძლეს კუნძულის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრა, მაგრამ მოკავშირეები სასწრაფოდ ჰგზავნიან კუნძულისაკენ მაშველ ძალებს.

წუხელ, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ცნობა იაპონელთა შემოჭრის შესახებ, დაწყებულია ნავთის სარეწების მოსპობა ტიეპუში, რომელიც რემბანგის რაიონში დესანტის გადმოსხმის ადგილიდან 30 მილზე მდებარეობს. ნავთის ეს სარეწები წარმოადგენენ ნავთის უკანასკნელ დიდ საბადოებს ჰოლანდიის ინდოეთში, რომლებიც კი ჰოლანდიელებს დარჩათ.

საზღვაო ბრძოლის შესახებ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ჩაძირულია იაპონიის ერთი მძიმე კრეისერი, სხვა ორი კრეისერი სერიოზულად დაზიანდა. იაპონიის სამ საესკადრო ნაღმოსანზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ჩაძირულია მოკავშირეთა 2 კრეისერი და ერთი საესკადრო ნაღმოსანი.

იაპონიის სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტების ზარალი წყნარ ოკეანეში

ნიუ-იორკი, 1 მარტი (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები იაპონიის სამხედრო და სავაჭრო ფლოტების იმ ზარალის შესახებ, რომელიც მათ მიაყენეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა 1941 წლის 10 დეკემბრიდან 1942 წლის 25 თებერვლამდე. ამ ცნობების თანახმად, ჩაძირულია: 1 ავიოსანი, 2 კრეისერი, 7 საესკადრო ნაღმოსანი, 3 წყალქვეშა ნავი, 1 სანაღმო ტრალერი, 3 ტანკერი, 13 ტრანსპორტი, 16 სატვირთო გემი, 6 სხვადასხვა ტიპის გემი; ალბათ, ჩაძირულია: 1 ავიოსანი, 1 საესკადრო ნაღმოსანი, 1 ჰიდროავიატენდერი, 2 ტრანსპორტი, 2 სხვადასხვა ტიპის გემი; დაზიანებულია: „კონგოს" კლასის 1 სახაზო გემი, 1 წყალქვეშა ნავი და 3 სხვადასხვა ტიპის გემი.

იაპონია-ამერიკის ომის დაწყებამდე იაპონიის სავაჭრო ფლოტის საუკეთესო გემებს წარმოადგენდა „ტავატას" კლასის 3 გემი, თითოეული 17 ათასი ტონა წყალწყვისა. ერთი ამ გემთაგანი ავიოსნად იყო გადაკეთებული. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩასძირეს „ტავატას" კლასის ერთი სავაჭრო გემი და ერთი ავიოსანი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები იმ ზარალის შესახებ, რაც იაპონიის ფლოტს მოუვიდა ამერიკის ავიაციის მოქმედების შედეგად 1941 წლის 7 დეკემბრიდან ამა წლის 26 თებერვლამდე. ამ ცნობების თანახმად, სერიოზულად დაზიანებულია: 1 სახაზო გემი, 13 კრეისერი, 2 საესკადრო ნაღმოსანი, 14 ტრანსპორტი, 1 ავიოსანი. ალბათ, ჩაძირულია: 1 სახაზო გემი, 1 კრეისერი, 3 საესკადრო ნაღმოსანი, 3 ტანკერი, 11 ტრანსპორტი, 1 წყალქვეშა ნავი. ამერიკის ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს იაპონიის 245 თვითმფრინავი; ბომბები მოხვდა მთელ რიგ სხვა თვითმფრინავებს. ამავე პერიოდში იაპონელებმა სულ ჩამოაგდეს ამერიკის 48 თვითმფრინავი. ამერიკელ მოხალისე მფრინავთა ჯგუფმა, რომელიც ჩინეთის არმიასთან ერთად მოქმედებს, იაპონიის 165 თვითმფრინავი ჩამოაგდო, თვითონ კი 31 თვითმფრინავი დაჰკარგა.

სამხედრო სამინისტრო აღნიშნავს, რომ გრაფაში—„ალბათ ჩაძირულია" შეტანილია მხოლოდ ის გემები, რომელთა დაზიანების ხასიათი თითქმის ეჭვს არ იწვევს მათს დაღუპვაში. სერიოზულად დაზიანებულთა რიცხვში შეტანილია მხოლოდ ის გემები, რომლებსაც ყუმბარა პირდაპირ მოხვდა.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 2 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბატაანის ნახევარკუნძულზე (ფილიპინები) ამერიკის ჯარები ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს, რომლებიც მათ ხელთ იგდეს უკანასკნელი იერიშის დროს. მოწინააღმდეგეს კონტრიერიშები არ მოაქვს, რაც პოზიციური ომის დაწყებას მოწმობს. ლუსონის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ამერიკისა და ფილიპინების ჯარების მცირე შენაერთებმა, რომლებიც მთებში მოქმედებენ, აიძულეს მოწინააღმდეგე დაეტოვებინა მდინარე აბრის ხეობა სერვანტესიდან ბაიგუდამდე.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა იაპონიის 17 ტრანსპორტზე და მოწინააღმდეგის 10 სხვა ხომალდზე. ამ იერიშის შედეგად ჩაიძირა ერთი ტრანსპორტი და ხანძარი გაჩნდა ერთ-ერთ სამხედრო ხომალდზე.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 2 მარტი (საკდესი). ინგლისის რანგუნის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარები მდინარე სიტანგს გადავიდნენ და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გადაჯგუფდნენ. ინგლისის სამხედრო სარდლობა კვლავ რჩება რანგუნში, სადაც საალყო წესები გამოცხადდა. 26 თებერვალს რანგუნზე საჰაერო თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა იაპონიის 22 თვითმფრინავი. 25 და 26 თებერვლის განმავლობაში სულ ჩამოგდებულია იაპონიის 51 თვითმფრინავი.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკე

ბატავია, 2 მარტი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ჰოლანდიის ჯარები შეტევას აწარმოებენ იაპონიის იმ ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც იავაზე გადმოსხდნენ. იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით. იავის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაძირულ იქნა იაპონიის ფლოტილიის ლიდერი.

იაპონიის ჯარებმა, რომლებმაც ინდრამაჯუდან წინ წაიწიეს, ხელთ იგდეს სებანგი, რაც ბანდუნგის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 40 მილზე მდებარეობს.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 2 მარტი (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, იაპონიის ჯარები, რომლებიც იავის კუნძულის სხვადასხვა პუნქტებში გადასხდნენ, საომარ ოპერაციებს განაგრძობენ. იაპონიის ავიაციამ პირველი თავდასხმა მოახდინა შოზის კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში იავის კუნძულის სამხრეთით 500 კილომეტრზე.

საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობ[illegible]

უელესის განცხადება

ვაშინგტონი, 1 მარტი (საკდესი). სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა უელესმა ოფიციალური განცხადება გააკეთა საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ.

მან განაცხადა: 10 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მარშალ პეტენისათვის გაგზავნილი პირადი მიმართვით აცნობა მას, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის მეტროპოლიიდან ჩრდილოეთ აფრიკაში გაგზავნილ იქნა მასალები ღერძის სახელმწიფოთა ჯარების მიერ გამოსაყენებლად ლიბიაში. პრეზიდენტმა თავის მიმართვაში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ანგარიშს უწევს საფრანგეთის პოზიციას და იმ შეზღუდვებს, რომლებიც მას დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმებით აქვს დაკისრებული. მაგრამ, „თუ საფრანგეთი საომარ და სხვა მასალებს გაუგზავნის ღერძის სახელმწიფოებს, დახმარებას გაუწევს მათ ან ამ მხრივ რაიმე ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რომლებიც დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმების პირობების მიხედვით ვალდებული არ არის გადასდგას, ამით საფრანგეთის მთავრობა თავის თავს იმ მთავრობათა კატეგორიას მიაკუთვნებს, რომლებიც უშუალოდ ეხმარებიან ამერიკის ხალხის მოსისხლე მტრებს". ეს, — ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში,—ფრანგი ხალხის სურვილს ეწინააღმდეგება და კატასტროფული იქნებოდა საფრანგეთის საბოლოო ბედისათვის.

ამ მიმართვის შემდეგ ამერიკისა და საფრანგეთის მთავრობათა შორის მოხდა აზრთა გაზიარება. 24 თებერვალს ვიშის მთავრობამ ამერიკის ელჩს გადასცა ცნობა, რომლითაც განაცხადა, რომ მზად არის თავი შეიკავოს ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რაც იმ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება, რომლებიც დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმებიდან გამომდინარეობენ და რომლებიც არ შეეფერებიან ნეიტრალიტეტის პოზიციას, რასაც საფრანგეთი 1940 წლის ივნისიდან დაადგა. ამიტომ ვიშის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი „არავითარ სამხედრო დახმარებას არ გაუწევს არც ერთ მეომარ სახელმწიფოს არც ერთ ადგილას და საომარი მოქმედების არც ერთ ასპარეზზე. კერძოდ, იგი არ დაუშვებს საფრანგეთის გემების გამოყენებას ომის მიზნებისათვის და არ გაატარებს ღერძის სახელმწიფოებისათვის დახმარების აღმოჩენის ისეთ პოლიტიკას, რომელიც დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმების პირობების ფარგლებს სცილდება".

„ინგლისის მთავრობა,—განაცხადა უელესმა,—სავსებით ინფორმირებულია საფრანგეთისა და ამერიკის მთავრობებს შორის მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ. თუმცა ეს განცხადება საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვანია ამერიკისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის არსებული ურთიერთობის შეფასების დროს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკის მთავრობა მოელის უფრო მეტი გარკვეულობის შეტანას სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, ვიდრე იგი შესძლებს სავსებით აწონ-დაწონოს ახლანდელი მდგომარეობა".

უელესმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, საფრანგეთის ახლანდელი გარანტიები აგრეთვე ვრცელდება საფრანგეთის სამფლობელოების ნეიტრალიტეტზე დასავლეთ ნახევარსფეროში, „მაგრამ საკითხის მეტად მნიშვნელოვანი მხარეები ჯერ კიდევ არ არის ნათელიო".

ბელგიელებს ჰიტლერული „ახალი წყობილება" სძულთ

გერმანული გაზეთის აღიარება

სტოკჰოლმი, 2 მარტი (საკდესი). ჰიტლერულმა გაზეთმა „ბრიუსელერ ცაიტუნგმა" წერილი დაბეჭდა, რომელშიც აღიარებს, რომ ბელგიის მოსახლეობა სიძულვილით ეპყრობა გერმანელ ოკუპანტებს. „ბელგიაში, — გულახდილად აცხადებს გაზეთი, — მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასები საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობენ. რაც უფრო დიდხანს გრძელდება ოკუპაცია, მით უფრო მეტად სურს მოსახლეობას ცხოვრების პირობების ნორმალიზაცია". გაზეთი არ მალავს, რომ მთელი მოსახლეობა მოუთმენლად მოელის გერმანელთა განდევნას.

„ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში, ისევე როგორც ბელგიაში, — სწერს „ბრიუსელერ ცაიტუნგი", — ხალხმა ეს ლოდინის მიზანდასახულობა თავისი პოლიტიკის ძირითად პრინციპად გაიხადა".

გაზეთი აცხადებს, რომ მთელი ეს ხალხი ჰიტლერული „ახალი ევროპის" პრინციპული მოწინააღმდეგეა, და გაბოროტებული მუქარით ილაშქრებს მათ წინააღმდეგ.

„მეფე ერეკლე"

ლ. გოთუას ისტორიული პიესა „მეფე ერეკლე" შეეხება საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს, როცა წყდებოდა ბედი ქართლისა. ავტორი მხატვრულად ასახავს იმ ცხარე ბრძოლას, რომელიც ერეკლეს მეფობის დროს სწარმოებდა ორიენტაციის საკითხის გარშემო. როგორც ვიცით, ერეკლე ჩრდილოეთთან, ე. ი. რუსეთთან მჭიდრო კავშირის მომხრე იყო და ამ კავშირში ხედავდა საქართველოს ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთადერთ გზას.

მაგრამ ერეკლეს პოლიტიკას ჰყავდა ძლიერი მოწინააღმდეგენი, რომელნიც კათოლიკური დასავლეთისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის გავლენით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოს დაკავშირებისათვის რუსეთთან და ამ ბრძოლის დროს ხშირად საქმე მიდიოდა ღალატამდე. აი სწორედ ასეთი პერიოდი აქვს აღებული ამ პიესაში ავტორს. ვახტანგ VI-ის შვილი პაატა ბატონიშვილი, რომელიც ქართლის ტახტის პირდაპირ მემკვიდრედ ითვლებოდა, მიუხედავად ერეკლესთან კარგი განწყობილებისა, ხელმძღვანელობს შეთქმულებას ერეკლეს წინააღმდეგ. შეთქმულების მიზანია ერეკლეს მოკვლა, ჩრდილოეთთან კავშირის გაწყვეტა და აღმოსავლეთის გზის დასავლეთთან დაკავშირება. პაატას ღრმა რწმენით ეს არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა.

პიესაში ეს ბრძოლა გადაწყვეტილია ისე, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში,—ერეკლეს პოლიტიკის გამარჯვებით, აზატ ხანთან ბრძოლაში ერეკლე „რუსის ზარბაზნით ანგრევს აღმოსავლეთის კარებს", ხოლო პაატა ბატონიშვილის შემცდარი პოლიტიკა უარყოფილია თვით ხალხის მიერ, რომელმაც შეთქმულებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

პიესაზე მუშაობისას თეატრი მიზნად ისახავდა ისტორიული სიმართლის ჩვენებასთან ერთად მოეცა არა სქემა, არამედ ეპოქა მაშინდელი ცოცხალი ადამიანებით, რომელთა ხასიათში მოცემულია დიდ პატრიოტულ გრძნობებთან ერთად პირადი, ადამიანური თვისებებიც. ამ მხრივ საინტერესოა თვით ერეკლე, პაატა, ბესიკი, ანა, საიათნოვა, ბერუჩა და სხვ..

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. ჭუბაბრიას (დეკორაციები) და დ. ძნელაძეს (კოსტიუმები), მუსიკა ა. კერესელიძისა. მთავარ როლებში გამოდიან: გ. გოძიაშვილი, გ. კოსტავა და ი. ქოქრაშვილი (ერეკლე), შ. ღამბაშიძე და შ. ჯაფარიძე (პაატა), ს. ზაქარიაძე (ბესიკი), ვ. ანჯაფარიძე და ა. დონჯაშვილი (ანა), დ. ჩხეიძე (სოლომონ ლეონიძე), მ. ლორთქიფანიძე და ნ. ანთაძე (პატრი ნიკოლა), გ. შავგულიძე (საიათნოვა), ი. ომიაძე (ბერუჩა), შ. გოცირიძე (დ. ამილახვარი), ა. გომელაური (ყორაშული) და სხვ.

დამდგმელი ვ. ტაბლიაშვილი

„ქართველი პოეტები წითელ არმიას"

სახელგამმა გამოსცა წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსთა კრებული.

კრებულში მოთავსებულია შემდეგი ლექსები: ალ. აბაშელის „წითელდროშოვანი", რ. გვეტაძის „ნოდარის მეორე წერილი", გ. გორგაძის „მოთხრობა გმირზე", ი. გრიშაშვილის „ყველაზე მოუშუშდა იარა", ა. გაბუშვილის „მებრძოლის დღიურიდან", ხ. გარდოშვილის „მხედრის წერილი დედისადმი", ს. თავაძის „პასუხი ფრონტელს", ქ. კალაძის „გრიგალთა ბრძოლა", გ. ლეონიძის „სტალინს—ბელადს და სარდალს", მარიჯანის „დედის დარიგება", ა. მაშაშვილის „დედა და შვილი", ი. ნონეშვილის „ოთხი ძმა", გ. ტაბიძის „დიდო არმია!", ს. ფაშალიშვილის „პასუხი ძმის წერილზე", გ. ქუჩიშვილის „პარტიზანული" და ს. ჩიქოვანის „მეომრის დღიურიდან".

კრებული შეიცავს 28 გვერდს და ღირს 1 მანეთი.

„დავა" რუსთაველის სახელობის თეატრში

5 და 6 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრი აჩვენებს თავის ახალ დადგმას—გ. ერისთავის კომედია „დავას".

კომედია დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ. გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. გამრეკელს, მუსიკა—ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ტუსკიას.

მთავარ როლებს ასრულებენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, რესპ. სახალხო არტისტები: ნ. ჯავახიშვილი, გ. დავითაშვილი, დ. მჟავია, რესპ. დამსახურებული არტისტები: ნ. დავითაშვილი, თ. თუშიშვილი, ემ. აფხაიძე, გ. სარჩიმელიძე და სხვ.

ლექცია

4 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის აგიტპუნქტის დარბაზში (საბჭოს ქ., № 134) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის აგიტპუნქტში.

თეატრებში

საოპერა — 4 მარტს—„ტრავიატა", 5 მარტს—„აიდა". რუსთაველის სახელობის — 4 მარტს — „რღვევა", 5 და 6 მარტს — „დავა" (პრემიერა). მარჯანიშვილის სახელობის—4, 5 და 6 მარტს—„მეფე ერეკლე" (პრემიერა). სანკულტურის — 5 მარტს — „აჯილდა". მუსიკალური კომედიის — 4 მარტს—„აყვავებული ბაღი", 5 მარტს — „როზ-მარი". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — 4 მარტს—საღამო-კონცერტი (მე-3 აბ., დასაწყ. დღის 5 ს.), 5 მარტს—საღამო-კონცერტი (მე-10 აბ. დასაწყ. დღის 4 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და ოქტომბერი — „არტამონოვების საქმე". დამკვრელი—„ტანკისტები". კომკავშირელი—„მეორე ქალი და მწყემსი". სპარტაკი—„პეპო". ლუქსემბურგის სახ.—„საბრძოლო კინოკრებული № 8". კომინტერნი—„მეორე", „ცა" და „ჯოჯოხეთი". 26 კომისრის სახ.—„გამანადგურებლები". მეცნიერება და ცოდნა—„დურსუნ".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა
აცხადებს,

რომ 1942 წლის 23 მარტს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამავე ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მოვალეობის აღმსრულებელი ვალერიან ნიკოლოზის-ძე გაბაშვილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილება დასტურლამალის მიხედვით".

ოფიციალური ოპონენტები: აკად. ს. ჯანაშია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი და პროფ. ნ. ბერძენიშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

35 დირექცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია
ყველა კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ნორმალური მეცადინეობა დაიწყო დანიშნულ ვადაში და ამასთანავე ტარდება სტუდენტების რეგისტრაცია.

რეგისტრაციაში გავლის უკანასკნელი ვადა არის ა. წ. 10 მარტი. ვინც ამ ვადისათვის რეგისტრაციას არ გაივლის, ჩაითვლება ინსტიტუტიდან მექანიკურად გარიცხულად.

დირექცია.

„თბილვაჭრობის" სატრანსპორტო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან გ. ქ. ტაბაღუას მეუღლის
ვარვარა გრიგოლის-ასულ გვახარიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/III 8 ს. გამოსვენება 5/III 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 40-ა. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 185

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან პროფესორ
ნიკოლოზ მიხეილის-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6 და 7/III 7 ს. ვაშლოვანის ქ. № 3, დაკრძალვა 8/III 12 ს. 186

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 5829